



מְנוֹרָה

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დაცვუკიდებელი ცხრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מְנוֹרָה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

სეტემბერი  
ცლული  
9 (433)  
(5777)  
2017

”מִבְּרוּרָה“  
עיתון יהודי  
בגאורגיה

21-22 სექტემბერი რომ ჭამანა-  
მჲავალს დაეცარით!



იყიდვებით გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ გვერდზე [WWW.MENORA.GE](http://WWW.MENORA.GE)

# რომ ჰაშანა



ବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ

რაბი ბენციონ ზილბერტისა და რაბი ური კალუჟ-ნის სტატიების მიხედვით

ზეციური კურთხების დამსახურებისათვის საჭირო  
მარტივი ხერხი. მარტივია კი? სატანა რომ ჰეშანაში

როშ ჰაშანაში გამ-ნება სამყაროს ქმნადობა  
დაასრულდა. როშ ჰაშანას მეექვსე დღე დაემთხვა,  
დღე, როდესაც გამ-ნება ადამიანი შექმნა. როშ  
ჰაშანა სამყაროს კველა ბინადრის სასამართლოს  
დღეა(დღესასწაულის ორი დღე ერთ მთლიან  
დღედ ითვლება და ამიტომაც ვებმარიბთ - დღეს).  
ამ დღეს განისაზღვრება, თუ რა მოხდება მოელს  
სამყაროში და თითოეული ადამიანის ცხოვრებაში  
მთელი წლის მანძილზე.

რატომ ასამართლებს გამ-ნი სამყაროს სწორედ  
ამ დღეს? ჯერ ერთი, სწორედ ამ დღეს შექმნა ადა-  
მიანი და გამეფდა სამყაროზე. მეორეც, იმიტომ,  
რომ ამ დღეს პირველმა ადამიანმა შესცოდა, გამ-  
ნის სასამართლოს წინაშე წარსდგა, მოინანია და  
აპატიეს. მას შემდეგ ასეთი რამ ადამიანებისათ-  
ვის ყოველ წელიწადს მეორდება: ამ დღეს ისინი  
სასამართლოს წინაშე წარსდგებიან, ინანიებენ და  
პატიებას ღებულობენ.

მონანიება უპირველეს ყოვლისა ნიშნავს საკუთარი თავის სხვა კუთხით დანახვას, იმის შეფასებასა და განსაზღვრას, თუ ჩვენი რომელი საქციელი და თვისება საჭიროებს შეცვლას. მონანიების გარდა, არის კიდევ რაღაც, რაც ზეციურ სასამართლოს ჩვენთვის სასიამოვნო გადაწყვეტილების მიღებისაკენ გადახრის(რა თქმა უნდა, ეს არ ცვლის იმის გამოსწორებას, რაც

რაბი ხაიმ შმულევიჩს, კურთხეულია წმინდანის სხოვნა, გემარიდან „როშ ჰაშანა“ მოყავდა რავას გამონათქვამი იმის შესახებ, რომ ადამიანის ერთ-ერთი თვისიება, რომელიც მას ეხმარება უქალ-ლესი სასამართლოს ნარმატებით გავლაში – არის მწყენინგბლის პატიების უნარი: მას, ვინც სხვას წყენას პატიობს, გამ-ნი პატიებს ცოდვას. ან, როგორც რაში ამბობს, „მიდათ ჰადინ“ – თვისება, სასამართლოს პრინციპი – თვალს არიდებს, თვალს ხუჭავს იმ ადამიანისთვის, ვინც სხვას პატიობს.

გემარას მოჰყავს რაბი ჰუნას, რაბი იეჰოშუას ვაჟისა და მისი მეცობრის რაბი პაპას ეპიზოდი.

რაბი ჰუნა მძიმე ავადმყოფი იყო. რაბი პაპა მის

სანახავად მიგიდა და დაიწახა, რომ აკადემიუმი ძალიან ცუდად იყო: “მოუმზადეთ მას გზისთვის საგზალი (ანუ საბანი დასამარხად)” – უთხრა მან მსახურებს.

ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, რაბი ჰუნა გამოჯაანმრთელდა. რაბი პაპას ძალიან რცხ-ვენოდა ასეთი სწრაფი დასკვნის გამოტანის გამო და ვერ მიღიოდა მეგობართან. როდესაც ისინი მაინც შეხვდნენ ერთმანეთს, რაბი პაპამ ჰკითხა: „რა ნახე?“ კი, ნამდვილად იყო გამოტანილი ჩემი სიკვდილის განაჩენი – უპასუხა რაბი ჰუმან – მა-გრამ, შემდეგ ითქვა: ის ყოველთვის პატიობდა, ვაპატიოთ მასაც“

ეს საშიში მოთხოვბაა – ადამიანი უკვე სიკვდილს თვალებში უყურებდა. მაგრამ აპატიეს, იმიტომ, რტომ პატიება შეეძლო.

თორის კვირის საკითხაზე თავიზე “რე” საუბრი-  
სას აღვნისნეთ, რომ მოწყალების თვისება, უნ-  
არი შეცოდებისა და თანაგრძნობისა ადამიანის  
ზეციურ თანაგრძნობასა და შეცოდებას უზრუნ-  
ველყოფს. ეს თვისება ახლოსაა პატიების უნარ-  
თან, მაგრამ, მისი იდენტური არაა. მაგრამ ორივე  
შემთხვევაში პრინციპი ერთნაირად მოქმედდებს:  
მას, ვისაც ეცოდება, ზეცაშიც იცოდებენ; მას,  
ვინც პატიობს, ზეცაშიც პატიობენ;

თითქოსდა არაა როთული გზა ზეცის კეთილგანნ-  
ყობის დასამსახურებლად, მაგრამ მართლა ასე ად-  
ვილია? "გემრიელი ნაჭერია, - განაგრძობს გემარა  
- მაგრამ მასში ეკალიცაა". ანუ - ასე უბრალოდ,  
წინააღმდეგობის გარეშე ვერ დატებები ამით. რა-  
შია გართულება? იმაში, რომ სასამართლო პატივ-  
ბაზე პატივიბით მაშინ პასუხობს, თუ ადამიანი სხ-  
ვის წყენას თავმდაბლობით პატიონბს.

ისმის კითხვა: კიდევ რა მიზეზის გამო შეიძლება წყენის პატივება? როგორ გგონიათ? დაფიქრდით....

ასეთ მიზნებად სიამაყე შეიძლება დასახელდეს. ადამიანს შეუძლია აპატიოს წყენა რაღაც ამ-დაგვარის შეგრძნებით: “ძალზე მნიშვნელოვანი ადამიანი ვარ იმისათვის, რომ ყურადღება მივაქ-ციო ვიღაცის გამოხტომებს. სულ ერთი არაა, ვინ რას ლაყბობს ჩემზე. ამან არ უნდა გამაღიზოანოს. მე ამაზე მაღლა ვდგავარ”.

თავმდაბლობის თემასთან დაკავშრებით გე-  
მარას „სანქედრინი“ რაბი ელაზარის ასეთი გა-  
მოთქმა მოყავს: „იყავი სიბნელუში (ანუ ჩრდილ-  
ში გეჭიროს თავი), და გადარჩები“. რაბი ზეირა  
ეთანხმება ამ აზრს: „ეს ბნელ ოთახში არსებულ  
კეთრზე(თანამედროვე კეთრისაგან განსხვავებუ-  
ლი რამა) საუბრიდანაც გამომდინარეობს“ - ამტ-  
კიცებს ის.

იმისათვის, რომ გავიგოთ რაპი ზეირას არგუ-  
მენტი, უნდა ვიცოდეთ, რომ საკუთარი სახლის  
კედლებზე განსაკუთრებული ლაქების შემჩნევის  
შემთხვევაში, რასაც თორაში კეთრს უწოდებენ  
და რაც სახლს აუწმინდურებს, ადამიანმა ქონება  
უნდა მიმართოს. ის დაათვალიერებს სახლს (მზის  
სინათლეზე და დღის განსაზღვრულ დროს) და  
გამოაცხადებს (ან არ გამოაცხადებს) სახლს უწ-  
მინდურად. ახლა კი წარმოიდგინეთ უფანჯრებო  
შენობა. როგორ შეიძლება მისი დათვალიერება  
შეიგნიდან კეთრის დადგენის მიზნით? “ბეჭელ უფან-  
ჯრო სახლს არ აღებენ კეთრისათვის”, ამბობს  
მიშნა. სწორედ ამას გულისხმობდა რავ ზეირა  
როდესაც მიშნა ახსენა. ადამიანი, რომელიც არ  
იჩენს თავს, არ ცდილობს, რომ სხვებმა შეამჩნიონ,  
თავი უჟირავს მდაბლად, არ გახისჯება მკაცრი  
სასამართლოთი, გულისხმობდა ის. ეს იგივეა,  
რაც სხვა სიტყვებით თქვა რაპი ელაზარმა: იყავი  
ჩრდილში და გადარჩები.

სწორედ ასე იქცეოდა ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტი ხაზონ იში. ერეც ისრაელ-ში ჩასვლამდე, სადაც მისი სახელი ცნობილი გახდა, ანუ 54 წლამდე, მასზე პრაქტიკულად არავინ არაფერი იცოდა. მის შესახებ იცოდა, მხოლოდ ვილნოელმა რაბმა რაბი ხაიდ-ეიზერ გროძინსკიმ. ხაზონ იში თავის დაწერილ წიგნებს ავტორის სახელის გარეშე გამოსცემდა და სხვა ადამიანების მეშვეობით ყიდდა. დასხლოებით ასევე იქცეოდა ხაფეც ხაიმიც, რომელიც ყიდდა რა თავის წიგნებს, ამბობდა, რომ “ავტორის გამოგზავნილია”. დიდი ალბათობაა იმისა, რომ სწორედ ეს დაეხმარა მათ სულიერ ამაღლებაში.

ახლა განვმარტოთ, თუ რა არის თავმდაბლობა? თორა არ უჭერს მხარს მცდარ წარმოდგენას, საკუთარი ცოდნისა და მცნებების შესრულების დონის შემცირებას. ადამიანმა სწორად უნდა შეაფასოს თავისი დონე. ეს მისთვის აუცილებელია, რათა იცოდეს თავისი მოვალეობები (ისინი კი დონეს შეესაბამებიან), რათა ესმოდეს, შეუძლია თუ არა ავტორიტეტთა აზრზე კამათი მაშინ, თუ არ ეთანხმება მათ და ა.შ. თავმდაბლობა არაა რეალური ღირსების უარყოფა, ეს არის იმის გააზრება, რომ „ვაკეთებ იმას, რასაც უნდა ვაკეთებდე როგორც შემიძლია მაქსიმაურად კარგად, მაგრამ მე ამისათვის არავისეგან არაფერი მეცუთვნის. პატივი და ქება-დიდება – ჩემთვის არაა“.

მაშ ასე, მას, ვინც სიამაყიდვი პატიობს, პატიების უნარი არ ეხმარება უმაღლეს სასამართლოს წინაშე. მას კი, ვინც თავმდაბლობით პატიობს, პატიობენ. გარდა იმისა, რომ თავმდაბლობა თა-

ვისთავად კარგი თვისებაა, ის გამ-ნის წინაშე წარდგომისასაც გვეხმარება.

როგორც ვიცით, რომ ჰაბანის ხისა ძაბათს თიშეს თვეს არ აკურთხებენ იმისათვის, რომ სატანა მოატყუონ. არის ასეთი ბოროტი ანგელოზი, რომელთანაც ყოველთვის ვომობთ და ამის აპოვეა რომ ჰაბანაა. ამ დღეს ხომ უმაღლეს სასამართლოზე ადამიანის ბეჭი წყდება მთელი წლის მანძილზე. ამ დღეს ელის სატანიც, მას ყოველ ჩვენგანზე სქელი საქალალდე აქვს გამზადებული, სადაც ჩვენი ცოდვები, ცოდომილებები, ნაკლი და სუსტი მხარეები აქვს ჩანარილი. მას სურს ჩვენი პროკურორობა იმისათვის, რომ სამართლიანი განაჩენი გამოვგიტანონ. ჩვენ კი მისი გაცურება გვსურს. წინასწარ არ ვაცხადებთ, თუ რა დღეს მოდის რომ ჰაბანა. ხოლო, როცა ეს დღე დგება, ებრაელები სინავოგაში იკრიბებიან სალოცავად და სატანაც აწრიალდება. მაგრამ მისი სასამართლოში მისცლამდე შოფარიც აულერდება – ეს მას ძალიან შეაშინებს. მას ხომ ეშინია იმ დღისა, როცა მაშიახი მობრძანდება, შოფარი დაუკრავს და ბოროტებაც ნისლივით გაქრება. სანამ სატანი გონს მოეგება, სასამართლოც დასრულდება და ჩვენ, რა თქმა უნდა, წმინდად და ყოველივე სიკეთის დამსახურების ღირსად ჩაგვთვლიან.

ლიან თად და უკეთაზია! თორა? ს გერია თავითისა და ურად მოაზროვნა და მაგრამ გითხვას: როგორაა, რომ სატანამ არ იცის როდისაა როშ ჰაშანა? ეს კარგი კითხვაა და პასუხის გასაცემად დაგვჭირდება დროის ბუნებისა და მატერიალური სამყაროსა, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, და სული-ერი სამყაროების ურთიერთქმედებაზე ღრმა ანალიზის გაკეთება. ჩემი მეგობრები მიმტკიცებენ, რომ სულიერ სამყაროებში “დრო” არ არსებობს. მეც გამახსენდა მახასგან, რომ “დრო – მატერიის არსებობის ფორმაა”. ცნობილია, რომ ეს ფილოსოფიური აზრი გახდა ეინტერინის ფარდობითობის თეორიის საწყისი წერტილი. მაგრამ, უდავოა, რომ სულიერ სამყაროებში მრავალი რამაა დამოკიდებული დროზე. უმაღლესი სასამართლო, მაგ-ალითად, მხოლოდ რომ ჰაშანაშია; ცოდვილები ჯოჯონებეთში მხოლოდ შაბათს ისვენებენ... ამას ასეთი ახსნა აქვს: დრო, მართლაც მატერიალური სამყაროსთვისაა დამახასიათებელი. მაგრამ, არ-სებობს არხი, რომლის მეშვეობითაც ჩვენი მატერიალური სამყარო გავლენას ახდენს სულიერ სამყაროებზე. ამ არხის სახელია – ადამიანი. ჩვენი სამყარო – ქმედების სამყაროა. სხვადასხვა ქმედებისას: გამწერის მცნებების შესრულებისას, ან პირიქით, ცოდვის ჩადენისას, კეთილი ან ბოროტი საქციელის ჩადენისას, კეთილსა და ბოროტს შორის არჩევანის გაკეთებისას – ადამიანი გავ-ლენას ახდენს არა მარტო საკუთარ თავზე და მის გარშემო არსებულ სამყაროზე. მისი გავლენა ვრ-ცელდება მირიად სულიერ სამყაროზე, ის ბადებს ან კლავს ანგელოზებს, აქენებს ან ანგრევს...

სულიერ სამყაროებში არ არსებობს არანაირი  
შინაგანი მიზეზი იმისა, რომ დაიწყოს ახალი დღე,  
მოვიდეს შაბათი, დადგეს ახალი წელი. მხოლოდ  
ჩვენს ქცევებს – დილის ოცნებას, კიდუშს, სადღე-  
სასწაულო ტრაპეზებს – შეაქვთ იქ დროის მოძ-  
რაობა. ამიტომ, რომ ჰაშ ანის ფაქტიურ დღემდე  
ან რომ ჰაშ ანის გამოცხადების დღემდე ამ ანგე-  
ლოზს –სატანას არ შეუძლია იმის ცოდნა, თუ რას  
მოიტანს ახალი დღე.

ამგვარად, ადამიანს ძალიან მნიშვნელოვანი  
მისია აკისრია – გააერთიანოს საკუთარი თა-  
ვით სამყაროთა მთელი სისტემა და წაიყვანოს ის  
გამ-ნისეული მიზნისაკენ. სწორედ იმაზე, ღირ-  
სია თუ არა თითოეული ჩვენგანი ასეთი მნიშ-  
ვნელოვანი თანამდებობისა, ასამართლებენ როშ  
ჰაშანაში. და თუ ადამიანი იმსახურებს მთავარს,  
მაშინ ყველაფერი სხვა – ჯანმრთელობა, ფული,  
წარმატება – შეიძლება მიიღოს ამისათვის საჭირო  
ზომით.



## 120 წლის წინათ

1897 წლის აგვისტოში შვეიცარიაში, ქალაქ ბაზელში, ქალაქის კაზინოს საკონცერტო დარბაზში შეიკრიბა ებრაელთა მოზრდილი ჯგუფი — 17 სახელმწიფოდან ჩამოსული 200 ადამიანი — ყველაზე მეტი — მეოთხედი რუსეთის იმპერიიდან.

ჩატარდა სიონისტთა პირველი კონგრესი. თეოდორ ჰერცლის სულ რაღაც 63 გვერდიანი წიგნი „ებრაელთა სახელმწიფო“ ნელინადნახევრის გამოსული გახლდათ და უკვე ერობის ებრაელობის სამაგიდო წიგნი გამზდარიყო. წიგნში საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ უნდა აღდგენილიყო ებრაელთა კერა — სახელმწიფო.



კონგრესის დამთავრებიდან სამი დღის შემდეგ თეოდორ ჰერცლმა თავის დღიურში ჩანსტრა: „ბაზელში მე ჩამოვალი ისრაელის სახელმწიფო. ეს რომ საქვეყნოდ მეთქვა, დამცინებდნენ, მაგრამ ხუთი თუ არა, 50 წლის შემდეგ ეს ფაქტი საყოველთაო გახდება“

50 წლისა და სამა თვის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება პალესტინის ტერიტორიაზე ებრაელთა სახელმწიფოს შექმნის შესახებ.

**Реакция президента ЕАЕК на исключение России из проекта реконструкции музея Собибор**

Президент Евроазиатского еврейского конгресса Михаил Мирилашвили выражает недоумение в связи с решением международного комитета по реконструкции музея «Собибор» отказаться от помощи и участия России в этом проекте. Г-н Мирилашвили придерживается позиции, согласно которой надо отделять политику от сохранения памяти о жертвах Холокоста и героях сопротивления.

«Сохранить память об ужасных событиях в концлагерях обязан каждый из нас. Россия играет значительную роль в сохранении памяти о жертвах Холокоста. Поэтому участие России в проекте имеет важное значение. Я полностью разделяю официальную позицию Израиля, который поддерживает участие Российской Федерации в реконструкции музея бывшего нацистского лагеря смерти. Более того, этимология имени нашего народа уходит своими корнями в глубокое прошлое и происходит от названия одного из 12 колен Израиля — колена Иегуда, означающего «благодарность Всевышнему». Мы должны помнить и воздавать должное тем, кто помогал и продолжает помогать нам, уметь быть благодарными, в том числе и в вопросе лагеря «Собибор», — заявил Мирилашвили.

## დათო მაღრაპა

**ლეხაიმ!**

ვუძღვნი დანიელ ოზს

ლეხაიმ, ხაიმ,  
ხაიმ, ლეხაიმ!  
მუდამ რეგა და ძებნა საშელის...  
სიკვდილის ბანაებს ერქვა „დასაუ“  
და კედელს ეცხო სისხლი ქაშერის.

ქუსლი ქუსლზე და მჭახე  
- ზიგ ჰაიდ!  
და წინ, სივრცეში გამოილი ხელი,  
ძველი აღთქმიდან მოვა მისაიდ,  
რომ დაგიამოს ჭრილობა ძველი.

კითხვა და ზედვე გინება ჯიშის,  
- გის იჩქე? მოკლედ გვითხარ, ხანა ან  
სარა! - ბაქშების თვალებში შიში  
...რა შორს იუავი მაშინ, ქანაან!

და ეცხო კედელს სისხლი ქაშერის  
და გრძნობდი აღთქმულ მიწის სიშორეს  
მე კი ამ ლექშემი მისთვის და და გორ  
რომ თვალზე ცრემლი გერმანია.



## ნეთანიაჰუსა და პუტინის შეხვედრა

აგვისტოს ბოლო დღეებში ისრაელის პრემიერ-მინისტრი სიქში ჩავიდა რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან შესახვედრად. ნეთანიაჰუმ პუტინს აუწყა თუ რადგენ სახიფათოა ირანის სამხედრო ძალების თავმოყრის ტერიტორიაზე. ისრაელის პრემიერის აზრით, ირანის სამხედრო ძალების თავმოყრის სირიაში ადასტურებს „აგრესისა, რომელიც ამ შემცირდა ბირთვულ საკითხებზე ხელმოწერის შემდეგაც კი და ეს პრობლემას უქმნის არა მხოლოდ ისრაელს, ასლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებს და მთელ მსოფლიოს. ნეთანიაჰუმ პუტინს აუწყა, რომ ირანმა შესაძლოა მიითვისოს „ისლამური სახელმწიფოს“ მემრილებისაგან განთავისუფლებული სირიის ტერიტორია და მიიტაცოს ერაყისა და იემენის ზოგიერთი რაიონი.



## მიხეილ მირილაშვილი: დადგა ქამი თავისი მივაგოთ ანტისემიტებს!

ლონდონში გამართულ მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის აღმასკომის სხდომაზე, რომელიც გლობალური ანტისემიტიზმის საკითხებს მიეძღვნა, სიტყვები წარმოსთქვეს კონგრესის პრეზიდენტმა რომანდ ლაუდერმა, აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა რობერტ ზინგერმა, გამგეობის თავმჯდომარებ დევიდ დე როტშილდმა, ხაზინადარმა საფრან ჩელამ. აღმასკომის სხდომაზე გამოვიდა ევრაზის ებრაელთა კონგრესის ახლადაერეული პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი.

მიხეილ მირილაშვილმა თავის გამოსვლამი ხაზი გაუსვა იმას, რომ „ებრაული ფასეულობანი და ებრაელი ხალხის მემკვიდრეობა უნიკალურია, ევრაზის კონტინენტზე რუსულენვანი დიასპორა ამ ფასეულობათა უმდიდრესი წყაროა, ჩვენი წინაპრები სხვათა ფონზე ყოველთვის გამოირჩეოდნენ განათლების, აღმოჩენების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა დანინაპართა მოღვაწეობის შესწავლით. ეჭვსგარეშეა, რომ ახლანდელი თაობა ერთობ ნიჭირია, მაგრამ თუ მტკიცედ არ იქნა დაცული ისტორიულ ეროვნული ღირებულებანი, ჩვენი ერის სულიერება, არსებობს საიმისო საფრთხე, რომ დაიყარებოს ებრაული სანების ჩვენი სულისა. ამ ფონზე ჩვენი მიზანი უნდა იყოს ის საძირკველი ურომლისოდაც ჩვენი ხალხი დღემდე ვერ შეინარჩუნებდა უნიკალურობას და ურომლისოდაც რუსულენვანი დისპორა ვერ იქნებოდა ებრაული კულტურული მემკვიდრეობის მდიდარი წყარო.

შეეხო რა ტერორისა და ანტისემიტიზმის თემას ევრაზის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა აღნიშნა: — 16 წლის წინათ, სწორედ სექტემბერში, მოხდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ტერორისტული აქტი. ზუსტად 16 წლის წინათ ჩვენ ვფიქრობდით, რომ სამყარო შეიცვალა, გონის მოვიდა და გააცნობიერა, რომ ტერორიზმს საზღვრები არა აქვს. სამწერაოდ, იმ დღის შემდეგ ტერორისტული აქტები არ შემწყდარა — იქნება ეს ბაშარ ასადი, თუ ისლამური სახელმწიფო, სისხლისლერას განაგრძობენ. გაეროში კი მიუხედავად ამისა, ისრაელის განმაქიქებელი რეზოლუციებისა ერთად აღებული. რა არის ეს თუ არა ანტისემიტიზმის გამოვლინება? საერთაშორისო თანამეგობრობა როდის აღმოჩენს, რომ ახლო აღმოსავლეთში ისრაელი არის დემოკრატიის ერთადერთი დასაყრდენი და ავანგარდული ცივილური სამყაროს მშვიდებისათვის ბრძოლისა. დადგა დრო წინააღმდეგობისა, მოვიდა დრო პასუხი გავცეთ ანტისემიტებს!



## იურ შეგვთა:

- უფრო სასტიკად!  
ჯილდოვდებოდა უსასტიკები  
და სამეცნიეროზე სხანდა სვასტიკა,  
სვასტიკათაგან უსასტიკები.

ანტისემიტის ვაქცინით აცრის  
ბელადი მასებს, ხოტად მამულის,  
ერთი იურ ხან უფრო მეაცრი,  
ხან ცოტა ვეგე-ტარი-ანული.

კითხვა და ზედვე გინება ჯიშის,  
- გის იჩქე? მოკლედ გვითხარ, ხანა ან  
სარა! - ბაქშების თვალებში შიში  
...რა შორს იუავი მაშინ, ქანაან!

ჯოხით ჭურია შემოზგა ბეჭობს  
და ეგვაზტელებს დაუდგა შოუ  
მერე ანმსტრონგის გაისმა ქვა:  
- ლეტ მე ბერადლე გო!

სად დაიკარგა თეთრი ბატკანი  
და ვარსკელავების ცაზე თარეში,  
მოწევდება ალბათ ერთი მათგანი  
და შეცურდება იორდანეში.

იკითხვას მწევმა:



ცაზე ის რა ელ-  
გარებს, ან რისი არის ნიშანი?  
გ ზა უდაბნოზე გადის, ისრაელ,  
ზემოთ ცაა და ქვემოთ ქვიშანი.

მიწერა უდაბნოს წეალი და თოხი  
და ზეითუნის მოჩანს ნაეოფი.  
ახლა სცენიდან ქადაგებს ჯოხი,-  
ნათელი წეალის ორად გამუფი.

აღთქმულ მიწის ქენ მიუვავართ მოსეს,  
გ ზადაგ ზა ვრუნავ ქაშერის ღვინოს,  
საღიორის ბერ ბერობთან დგას მოსე:  
- მცნება ზირველი  
და ბერობდ მინორი!

# სახელი და სიტუაციები

## გურამ გათიაშვილი

# გიგლა ხუსამავილი

- რას შობი, გიგლა, როგორა ხარ, რა არი ახალი?!

- აბა, როგორ ვიქნები ოთხევდელში მოქცეული, ახალი შენ უნდა მითხრა, ქვეყანაზე, მწერალთა კავშირში რა ხდება? - ბოლო წლებში სევდისშემომყრელი შეკითხვებით იწყებოდა ჩემი საუბარი დაუდგრომლ გიგლა სუხაშვილთან.

დაბერდა, ფიზიკურად დაუძლეულდა, გონება კი ერთი წამითაც არ დაბინდვია - შეეძლო საათობით ელაპარაკენა პოეზიაზე, თეატრზე. უყვარდა მწერლობაზე საუბარი და საუბრობდა კიდეც. მისი მჭერმეტყველება ძალიან ბევრ რეკოპირსაც შესურდებოდა. როგორც კი იგრძნობდნენ მისეულ მჭერმეტყველებას ვერ შესწვდებოდნენ, ვერც მისებრ ლიტერატურულ გემოვნებას გამოავლენდნენ, ცინიკურ ფრაზას ჩატარდნენ. გიგლას კი არც ცინიზმი შეეცნობა, და არც - უხეშობა, ამაგინენდთან ბარილივთი უშრო იყო - თვალებში სევადაჩამდგარი (შვილის დაკარგვის შემდეგ კი მის თვალებში ებრაულმა სევდამ სამუდამოდ დაივანა) გაბუტული ბატვივით გაჩუმდებოდა. ეს იმიტომ, რომ იგი პოეტი იყო და მეტი არაფერო. ეს „მეტი არაფერი“ კი ის არა, რასაც პოეზისათან არა-რა კავშირი არა აქვს, ცხოვრებისათვის კი ესოდენ აუცილებელ, დიდ იარაღად ქცეულა. ამ „მეტი არაფერით“ ბევრი გადასწრებს, ბევრი გძლევს და თავის ბამბასაც ააჩხრიალებს.

მან ქართულ დრამატურგისაც დასდო ამაგი, ქართულ ლიტერატურულ, თუ თეატ-რალურ კრიტიკასაც და პოეზიასაც, მაგრამ პიესას წერდა, კრიტიკულ წერილს, თუ ტრი-ბუნაზე იდგა, ყველგან პოეტი იყო.

ერთ-ერთ ნეკლილში „ჩვენი რაბი“ ვუწოდე, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ნებსით თუ უნებლივედ, ჩემი და ჩემზე უმცროსი თაობის ქართველი ებრაელი მწერლების სანიშნე სვეტის ფუნქცია შეასრულა, არამედ იმიტომ, რომ ამ რელგიისაგან ერთობ შორსმდგომ კაცს (მაგრამ არც იმდენად არარელიგიური იყო, როგორც ისრაელის მემარცხენე პარტიის ლიდერები) რელიგიად პოზია, თეატრი გაეხადა. პოზიაზე, თეატრზე ისე ლაპარაკობდა, როგორც რაბინი, სასულიერო პირი, მოძღვარი ლაპარაკებენ ძველი აღთქმისა, თუ წინასწარმეტყველთა წიგნებზე.

კარგი ლიტერატურული და თეატრალური ცხოვრებით იცხოვრა, თავისი თაობის ძვირფასი თვალი იყო, მი თაობისა, რომელიც ჭეშმარიტ ღიტერატურას ქმნიდა - მომავლის ქართულ ლიტერატურას. მისი თუ ნინა თაობიდან ვერავინ იტყვის გიღლაზე ასეთი და ასეთი ამაგი მაქვსო, მას კი თავის თაობაში თითქმის არ დარჩენა შემოქმედი, რომელზეც თავისი წონადი სიტყვა არ ეთქვას. დიდ ქართულ მწერლობას ემსახურებოდა.

## ნოდან ჯინჯისავილი

ნოდარ ჯინჯიხეაშვილი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, საქართველოს არც შეუტყვია რაოდენ სერიოზული მწერალი ჰყავდა (დღესაც ჰყავს - ნოდარი უკვე არა მხოლოდ ისტორიის, ქვეყნის უფროვნილებაა, მიუხედავად იმისა, იცნობდა, თუ არა მას). ჩვენ გვყავდა მწერალი, რომელმაც უცხოობაში მოიპოვა მწერლის აღიარება, მძიმე, როული ცხოვრებით იცხოვრა და წავიდა, როგორც ლირსეული ადამიანი.

მისი რთული ბედის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ქართულ ენაზე არ წერდა, რუსულენოვანი მწერალი იყო. ამიტომ ბუნებრივია, დამდევს შიშა, ვათუ, ქართული მწერლობის არეალში ვერ მოექცეს-მეტე. ეს კი დიდი უსამართლობა იქნება: იგი არა მხოლოდ თავისიმა ნიჭმა, შრომისმოყვარეობამ, შინაგანმა ენერგიამ, ქართულმა მწერლობამაც ჩამოაყალიბა, შექმნა, როგორც მწერალი, მოაზროვნე. ქართული მწერლობა, საზოგადოებრივი აზროვნების სისტემა ხომ ნაწილია საკაცობრიო აზროვნებისა. არაფერს ქართულს იგი არ გაქცევის: ქართველებზე, ქართველ ებრაელებზე, საქართველოზე წერდა. კი, კი, ვიცი მწერალი ენაა, მაგრამ მის მიერ დახატული ფეხთხანი (რომანი „ჩემი თვითმკვლელობის ისტორია“) თავისი ტიპაჟით, სახეობით, ხასიათებით დღესაც თვალწინ შიდგას, დღესაც სუნთქვას. ცხადია, სავალალობა, რომ ქართული ენის წაითავო არ ხარალებს, მაგრამ ჩემი დაჩივლება მაინც ერთობლივი ლოკალური, ადგიშვნელობისა და ვერა-რა განზოგადებას ვერ მიიღებს, რადგან მთავარი ის კი არ არის, რომ ქართულენოვანი არ იყო, მთავარია მწერალი იყო. საქართველოს, ქართველი ებრაელობის ამბავი ძალიან კარგად უამბო მკითხველს ამერიკასა, თუ რუსეთში, ისე კარგად, რომ მერე ინგლისურადაც წაიკითხეს მისი ნაწერები, ფრანგულადაც. მას თავისი ლიტერატურული შემოქმედებით არა-რა ამქვეყნიური სიამტკებილობა არ მიუღია, ბედმა მხოლოდ გაცემა, საკუთარი გულის ნურვა არგუნა და არა სიმენი. ამიტომ ვამბობ: თუ ჩემს თანამედროვეთაგან ვინგეს ხვდა ნილად ლიტერატურის, ქართველი ებრაელობის ალალი, დაუშურველი სამსახური, უნინ-არესად, ნოდარ ჯინს-ჯინჯიხავილს. ბედმა განუსაზღვრა ასე.

მე მამაც მახსოვეს მისის-ბატონი ბუბულო-ხმელი, მაღალ-მაღალი, დახვეწილი ინტელიგენტი. სტუდენტობის ნლებში ხმირად ვხვდებოდით ერთმანეთს პიძაჩემი ხამის, დიდებული იოხა და გერმონ სეფიაშვილების ოჯახებში. ოთარი ჩემზე უფროსი იყო, უკვე იძექდებოდა პრესაში, ახლადდარსახულ გაზეთ „თბილისში“ მსახურობდა. ნოდარზე უფროსი ხომ იყო და იყო, მაგრამ ერთი დიდებული თვისება ჰქონდა- სულაც არ ეჭირა თავი, როგორც უფროსსა და მეტის მცოდნეს. თუმცა, რჩევა-დარიგების გაზიარების ნიჭიც ჰქონდა და სიყვარულიც! ჩვენც შოშიებივით პირდაღებული ვუსმენდით, გვენადა მისი მოსმენა. იმ ნლებში ნოდარი ჯერ კიდევ მოსწავლე იყო, მაგრამ ჩემი-სტუდენტის, ოთარის-უწყენალისტიკაში, კინოხელოვნებში ერთობ ჩახედული კაცის ურთიერთობა სულაც არ ხასიათდებოდა უფროს-უმცროსობით, რადგან „მთავარი რაბი“ მაინც გიგლა იყო, ხუხაშვილი-პოეტი, კრიტიკოსი, მუდამ გატაცებით, შთაგონებით „დარაშობდა-ქადაგთა“ მწირობობაზე.

აგებდა” სხერლობაზე.  
მაშინ ნოდარი მოსწავლე იყო-მეტქი, ვთქვი. ეს „მაშინ“ კი ლამის 45-50 წლის წინანდელი ამბავია. მას მერე ნოდარს ათასგზის შევხვედრივარ თბილიში, მოსკოვში, ამერიკაში. ბოლოს 2001 წელს შევხვდი, თელ-ავივში. მიხომ მირილაშვილმა საქართველოს ეპრაელთა მსოფლიო კონგრესის იდეეს პრეზენტაცია რომ გამართა, მისი მზერა, გამოხედვა, მოძრაობა ისეთივე იყო, როგორც 50-იანი წლების ბოლოს-მშვიდი, აულელვებელი, სულის სიღრმეში ჩამხედავი, დაკირვებული. მომხიბლა მისმა გამოსვლამ სასტუმრო „დავითი ინტერკონტინენტალში“. იგი ლაპარაკობდა ადამიანების ნებაზე, ადამიანების სულზე, ეპრაულ სულიერებაზე, ტრადიციაზე. ერთი სასაცილო რამ მოხდა იმ საღამოს: ჩეგნმა ზოგიერთმა „პრენმა“ პროფესორმა, იმდენიც რომ არ წაუკითხავთ, რამდენიც ნოდარს დაუბეჭდავს (მე არ ვამბობ: დაუწერია. ჭეშმარიტი მოაზროვნენი გაცილებით მეტს წერენ, ვიდრე ბეჭდავენ), ნოდარის გამოსვლა ყურად არ იღეს-მაინც თავისის ერეკებოდნენ, და ვერ ხვდებოდნენ ნოდარის ფონზე რა საბრალოდ გამოიყურებოდნენ თავთავიანთი რატა-რიტით.

მიხოდავთ, რომ მისი მიზანი არ იყო მომავალი გადამზღვევის მიზანი, ამ შეხვედრის მოთავეს, თვალებში შუქი ჩადგომოდა, გადმომჩურ-წლოა:

-ჰა?!-ეს იყო აღფრთოვანიპის გამომხატველი შორისთვის.

ვის და სიამოვნება მეგრძნო რამდენიმე სახის ხილვით).

ნოდარიც ერთობ პატივისმცემელი გახლდათ მიხოსი. მიწვევაზე უარი არ თქვა, ლონ-დონში ლექციები დატოვა და ჩამოვიდა. მდიდარი კაცი არ იყო, მაგრამ სამივლინებო თანხ-ის მიღებაზეც უარს ამბობდა -მიხომ არ დაუთმო. იჯდა მომლიმარი, კმაყოფილი, მერე თქვა სადღეგრძელო-ერთობ გონივრული სიტყვა უფრო იყო, ვიდრე სადღეგრძელო. აი, ასეთ პურიბაზე თუ უთქვამთ, სუფრა აკადემიააო, ყოველი სუფრა, ცხადია, აკადემია ვერ იქნება: დღეს აკადემიკოსების პოვნა არ გაჭირდება-საქართველოში დრომ უხვად გამო-იტეა, გონიერთა პოვნა უფრო რთულია, ხილო სიტყვის ისე მოქმედისა, როგორიც იმ დღეს მოდარიმ თქვა, რა მოგახსენოთ!

ძალიან მომწონს მისი რომანი „მასნავლებელი“ ი. სტალინზე და ქრისტეს ებრაულ სა-მყაროზე და ნოდარ ხუნდაძისეული ქართული თარგმანისათვის ვრცელ წინასიტყვაო-ბაც დავწერე. ალბათ, ბუნებრივია, რომ ამ თემაზე-რელიგიური მოტივებით ნასაზღდოები ასეთი მართალი, ღრმა ნიგნი სულით ხორცამდე ებრაელმა კაცმა დაწერა. ნოდარივით ებრაული სულის მატარებელი უნდა იყო, რომ ასე მკაფიოდ შეიგრძნო იუდაიზმის წიაღში მობილი იდეები, ებრაელობის სულიერება, ქრისტეს არსი, ამჟეყუნიური დიდების მწვერ-ვალზე ასული სტალინის სულიერი მარტვილობა, რომელიც საყვარელი ქალის ზურგშე-ცევამ განაპირობა. ნოდარ ჯინს ძალას მატებს ებრაული რელიგიის, ქრისტიანობის, მჭერი და ახალი აღთქმის, თალმუდის, როგორც ერთი დაპირისპირებული მთლიანობის, ღილი ცოდნა.

რაოდეს გაძალებულიც არ უხდა იბრძოდე ხელისუფლებისათვის, უსათუოდ დეკანი საკუთარ თავში ჩატრმავებისა, განვლილი ცხოვრების შეჯერებისა, მითუმეტეს, თუ ქიმიკოსაშია ადამიანისა მარტივისათვის გაგნირთ: სასულილო სემინარია, შესანიშვნი ერქვების წერა, სოციალური სამართლობრივისათვის ბრძოლა, რომელსაც ამზადებდა მთელი მე-19 საუკუნის ფილოსოფია, ლიტერატურა, ნადეჯდა ალილუევას სიყვარულს, კიმბერიდან რამდენიმე გამოქცევა, ხელისუფლების მწვერვალზე ასვლა, ალილუევას თვითმკვლელობა, რომელმიც დროდადრო გამოკრთხბა ზინოვეივის სახე. რაოდენი თავზარდამცემი იქნებოდა ძლიერ მოყვარული, დიდი იმპერიის სათავეში მოქცეული ქართველი კაცისათვის ცოლის თვითმკვლელობა-მსოფლიოს დიდ პოლიტიკოსთა ზრახვებს აწვდებოდა, ასწრებდა, სჯობნიდა და გვერდით მყოფი, ძვირფასი ადამიანის სიცოცხლე წაშვში მოქალაქით წყალივით აგმოგაბალა.

## ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀଙ୍କାନ୍ଦେଶ୍ୱରୀ

ებრაელი ერის ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როცა მათს შეიღებს უცდიათ გაქ-  
კეონდნენ თავიანთ ეროვნულ სანისის – უარუყვიათ რჩდენა, სხვა სარწმუნოებაც მიუღიათ  
– დასდგომიან სრული ასიმილაციის გზას. უმეტეს შემთხვევაში, ამ ნაბიჯს მოსალოდნელი  
აარნებულობრივი დევნის საფრთხე ადგმენინებდათ, მაგრამ ებრაელთა მოძულეთ მათ-  
თვის მაინც ძალიან მტკიცნეულად, ტრაგიკულადაც კი შეუხსენებიათ უცხო – ებრაელი  
– ხარო. მე-14 საუკუნის მინურულის ესპანეთში ებრაელთა ერთა ნაწილი გაექცა ებრა-  
ელობას – რჯული იცვალეს – შეეცადნენ გამხდარიყვნენ ისეთნი, როგორიც იყვნენ სხვები  
– გარემომცველი სამყარო, მაგრამ მეფე ფერდინანდმა ისინიც ისევე აჟყარა და გაასახლა  
ესპანელთა მიწიდნ, როგორც დილა-სალამოს ადონასი მსახური, გულდაგული ებრაელები  
„შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ კითხვისას, ან ამ პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკ-  
ლის ცქერისას, თან მდევს ფიქრი, რომ შაილოკი ესპანეთიდან დევნილი ებრაელების შთა-  
ომოვალია – მათი შვილიშვილი, ან შვილთაშვილი. მის შშობლებში ჯერ კიდევ ცოცხალი  
უყო განდევნის, ტანჯვა-ოხვირის მძიმე განცდა. შაილოკისეული შურისძიების შინ არა  
მხოლოდ ვენეციელი ვაჭრის – ანტონიოს მისადმი დამოკიდებულებაში იღებს სათავეს,  
არამედ ესპანეთიდან დამამცირებელი განდევნის სიმწარეში – მის სულში ჯერ კიდევ არ-  
მეხორცებულა ტკივილები, რომელსაც დევნილი, ნავსაყუდარის მაძიებელი მისი მამა-პაპა  
კანიცდიდა).

20-30-იან წლებში გერმანიაში მცხოვრები ებრაელები ისე იყვნენ ადაპტირებულნი კარემომცველ სამყაროსთან, იმდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სახელმწიფოს კცხოვრებაში, ვერაფრით წარმოიდგენენ, როგორც ებრაელებს, თუ რამ ხიფათი ელო-

ჰათ. ჰეთილერმა ერთი დიდი ანდერძი დაუტოვა ამ ერს: არასოდეს არ დაიჯერო რომ საქმე კარგადაა, ამითომ სუნდა დაადგე შორეულ გზას, წელებზე ფეხი უნდა დაიდგა, ქანციც სუნდა გაინწყვატო, რომ ყველაფერი კარგობრძებს ისტორიულ სამშობლივი მოაწყო.

ბარი ჰატარკაციისული გენეტიკურად ებრაელი გახლდათ, ჩეულებრივ გძრაულ იჯახში, ებრაელთა შორის აღზრდილი, ებრაულ დღესასწაულებზე, აღბათ, ისიც ისევე დადიოდა სინაგოგაში, როგორც მისი ტოლი, უბნელი ბიჭები, მაგრამ წამოიზარდა და გაბილისელ კაცად ჩამოყალიბდა. მასში იმდენად ძლიერი იყო ქართულ სამყაროსთან, ქართულ სულიერებასთან იდენტიფიკაცია, რომ სხვად ვერც წარმოედგინა თავი – მხოლოდ ქართველად, ისე, როგორც ქართველ ებრაელთა მაქსიმალურ უმეტესობა ქართული უმეცნებისა გახლდათ. მეგობარ-ამხანგებიც ქართველები ჰყავდნენ, მეულლეც ჩინებ-ული ქართველი ქალი თუმცა. ამის გამო ებრაულ სამყაროსთან სულაც არ გაუწყვეტია კავშირი – პირიქით, არა მხოლოდ სიახლოეს ჰქონდა მასთან, ჭირსა და ლეინში გვერდით დედგა. მასში, ისე როგორც ბევრი ქართველი ებრაელის სულში ქართული ზარიც რეკადა და ებრაულიც. ერთი სიტყვით, ის მინდა ვთქვა, რომ ქართული სულისევთების, მსოფლგანც-დის კაცად ჩამოყალიბდა. ამასაც თუ ათემევნა ჟატიოსანი ქართველი კაცის სათქმელი ურაზა: „საქართველოს მოჯამაგირედ მიგულვეთ“.

არაფერი გასაკვირი არ არის, თუ ასეთი სულისკვეთების ადამიანი საქართველოს პრეზენტობაზე იფირებს. მე პირადად მისი ეს გადაწყვეტილება არასწორად მიმაჩნდა და მიმაჩნია, მაგრამ იგი თავისი მენტალიტეტით მოქმედებდა – მის სულში რომ ებრაელი მეტები ყოფილიყო, კიდრე ქართული, რასაკვირველია, ასეთი ფიქრი არც გაუჩნდებოდა, მაგრამ თუ შენ ამ ქვეყნის შეიძლი ხარ, მისი სისხლი და ხორცი, რატომ უხდა იყოს უცხაური პირების გარეშე პირობისათვის ბრძოლა, მითუმეტეს, როცა ყველა ხედავს, რომ რომ პირველი პირობა მიუწვდომლის მისაწვდომად კი არ გჭირდება, (მას პრეზიდენტზე მეტი აქეს, ფლობს





# თხემით ტერზაგდე სალოვანი

ଲୋକପରିଚୟ

ბერნარდ შოუ წერდა: „  
ცხოვრების არსი, მარტო საკუთარი  
თავის პოვნა არაა, საკუთარი თავის  
შექმნა.“ სწორედ რომ თავად ჩამოყ-  
ალიბდა პიროვნებად ახალგაზრდა  
ქალი, რომელსაც დღეს გაგაცნობთ.  
ჩემივე შექმნილ მოდელზე, ვისაუ-  
ბრო პროექტის მონაწილეზე ცი-  
ფრებითა და თარიღებით, პირვე-  
ლად ვამბობ უარს, განა იმიტომ,  
რომ უაზრობად მიმაჩინა, არმედ ეს  
ადამიანი განსხვავებული და თვით-  
მყობადი. იგი გახლავთ სცენარისტი  
და რეჟისორ-დოკუმენტალისტი —  
ელენ იანოვსკი. მცირე ბიოგრაფიულ  
ცნობებს მაინც მოგაწვდით: ელენი  
დაიბადა თბილისში, მეტად ინტელი-  
გენტურ იჯახში. დედა, ნანა ბერაძე,  
მოზარდ მაყურებელთა თეატრის  
მსახიობი გახლდათ და წლების გან-  
მავლობაში ლექციებს კითხულობდა  
თეატრალურ ინსტიტუტში. იგი ის-  
რაელშიც განაგრძობს მოღვაწეობას  
და ისრაელის ქართულენოვან თემში  
მეტად დაფარა სებულია. მამა, ბატო-  
ნი ლევ იანოვსკი, თბილისის 25-ე  
მათემატიკური გიმნაზიის დირექტო-  
რი გახლდათ, რომლის ბაზაზეც 90-  
იან წლებში ივრითის შემსწავლელ-  
თათვის კურსები დაარსა. ელენის  
ძმა, დავითი, ჯერ მოსკოვის ფიზიკა-  
ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავ-  
ლობდა, ხოლო ისრაელში ამოსვლის  
შემდეგ, რელიგიური მიმართულება  
აირჩია. ამჟამად ხუთი შვილის მამა  
ესტონეთში ერთ-ერთი კომპანიის  
ხელმძღვანელია.

ელენს თავისი ბავშვობა ახსოვს წიგნით ხელში. დაეწაფა კითხვას, დღემდე აგრძელებს და მისი ცოდნის ფართო დაბაზონისაც სწორედ ეს განსაზღვრავს. ცელქი, მოუსვენარი გოგონა ყოველთვის იყო ყურადღების ცენტრში. სუსტებისა და ჩაგრულების გამოსარჩევა პირად მოვალეობად მიჩნდა. სახლი მუდამ სავსე იყო სტუმრებით — დავითისა და ელენის მეგობრებით. „პირველ კლასში რომ ჩავკიდეთ ხელი ხელს მე და ხათუნა მედულაშვილმა, დღემდე განუყრელი მეგობრები ვართ“ ამბობს ელენი და დასძენს: „ნებისმიერი ურთიერთობა, მეგობრული, დედაშვილური თუ კოლეგიალური, მოითხოვს შრომას, დათმობას და ნებისყოფას.“ თუ ელენი განმარტოვდებოდა, მხოლოდ წიგნის წასაკითხად. ისე კი, როცა საქართველოში შიში მძინვარებდა, შიდა არეულობის დროს, იგი არ ეცუებოდა არაფერს და დემონსტრაციებზეც კი დადიოდა. „დედას ყოველთვის სჯეროდა, რომ მე მსახიობური ნიჭი გამარჩნდა, მე კი დიდ შარაგზაზე გასასვლელი ბილიკის ძებნაში ვცადე მხატვრობა, კერამიკა, მოდელიორობა მაშინ, როცა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი“ მიამბობს ელენი. საინტერესოა, რომ სტუდენტობაში მთავარი როლებიც შეასრულა: უფლისინული (სანტ ეზზიუპერის „პატარა უფლისინული“), ვარია, (ჩეხოვის „ალუბლის ბალი“), ნასტია, (გორკის „ფსკერზე“). და მაინც, დოკუმენტური ფოტოგრაფიის შესწავლამ, სტუდიაში „სეპია“, მასზე დიდი გავლენა მოახდინა და მიხვდა, რომ ეს უნდა ეკეთებინა. ფოტოზე ალექსანდრი ადამიანები, პიზა-ჟები თუ ცხოველები, მის მსოფლიერებელობაზე ახდენდნენ გავლენას. საუბრისას ელენი სიამაყით აღნიშნავს, რომ ბებიას გავს. მე კიდევ ერთხელ გადავფურცლებ ბებია სოფოს მემუარების წიგნი „ცხოვრების დაუმთავრებელი წიგნი“ და გარდა გარეგნული მსგავსებისა, მათ ხასიათშიც ბევრი აქვთ საერთო.

1992 წელს და-ძმა, დავითი და ელენი ამოვიდნენ ისრაელში. კიბუც მიზრაში აიდგეს ფეხი როგორც რეპატრიანტებმა, ხოლო საცხოვრებლად იერუსალიმი აირჩიეს და თელ-ავი-ვის უნივერსიტეტში ჩაირიცხა დოკუმენტური კინოს ფაკულტეტზე. მადლიერია ფაკულტეტის რექტორისა და მისივე ლექტორის, რეუვენ ჰეკერისა, რომელმაც ფრიადოსანი სტუდენტი ელენი სწორად დაკვალიანა. სტუდენტობისას გადაიღო ფილმი „ნევე შანაან“. ეს იყო ლტოლვილების ქუჩის ცხოვრებაზე. ელენის ყურადღებას სულ იყორობდა ის, რაც სხვების თვალს გამოეპარებოდა, ან ვიღაცა განგებ მოარიდებდა მზერას. ფილმმა დიდი მოწონება დაიმსახურა. მასში სააშკარაოზე გამოტანილი იმ ადამიანების აუტანელი ცხოვრება, რომელიც ზოგში წყრომასა და პროტესტსაც კი იწვევდა. ასეთივე გაბედული გახლდათ მომდევნო ფილმი „ბიჭი H-2 დან“, 12 წლის ყმანვილი ხევრონიდან. ხევრონში მიემგზავრებოდა ელენი ნებისმიერ ამინდსა და სტუაციაში, ისევ და ისევ იქ, სადაც სხვები რისკის ზონას ხედავენ. ეს ფილმი წარდგენილი იყო ბერლინის, ვენისა და მერლებურნის ფესტივალზე. იქ კი, დამსახურებულად აღინიშნება ამ ფილმის ღირსება იმ თვალსაზრისით, რომ ღარიბი მოსახლეობის, ნორმალურ კირობებს მოკლებული ადამიანების ერთი წარმომადგენლის ყოფა იყო აღნერილი ყოველგვარი შეფერადების გარეშე. ეს ფილმი ლოზუნგებით არ გაჰკივის, მაგრამ მრავალ შეკითხვას ბადებს და ეთნიკური სხვაობა უკანა პლანზე კი არ გადაინაცვლებს, საერთოდ არ არსებობს. ელენს მათთან ურთიერთობას არაბული ენის ცოდნაც უწყობს ხელს. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ ელენ იანოვსკი ქართულის, რუსულის, ივრითის, ინგლისურისა და არაბულის გარდა, ფრანგულსა და ესპანურსაც ფლობს. სამი წელი იღებდა ელენი საათნახევრიან დოკუმენტურ ფილმს „კრივის კლუბი“, რომელშიც მოთხოვდილია კრივის მნიშვნელის, გერმონ ლუქსემბურგის ფანატიკურ სიყვარულზე სპორტისა და თავის აღსაზრდელების მიმათ. მან იერუსალიმის ერთ-ერთ მიტოვებულ მნიშვნელში თავშესაფარს მიაგზო და ეცადა დაემსგავსებინა საფარჯიშო კლუბისთვის. შინველი ენთუზიაზმი იყო სანკისი ბაზა, მაგრამ როცა საბოლოოდ დაიწყო მოზარდი გოგო-ბიჭების წვრთნა კრივში, მიხვდა, რომ უშედეგოდ არჩაულია მის ნვალებას, მცდელობასა და შრომას. „რითი მიიპყრო გერმონმა შენი ყურადღება?“ „მისმა ფაქიზმა დამოკიდებულებამ აღსაზრდელებისადმი. იგი მარტო სპორტის ამ სახეობაში კი არ წვრთნის, არამად მისი მიზანი, პირველ რიგში ისინი კარგ ადამიანებად ჩამოაყალიბონ. ასწავლის მოწინააღმ-დეგის პატივისცემას რინგზე, რომ არ დაამციროს დამარცხებული. იყო შემთხვევა, როცა ერთ მოკრივეს განდიდება და ზედმეტი სიამაყე შეამჩნია გერმონმა გამარჯვების შემდეგ. იგი არც დაფიქრებულა, ისე მოხსნა შეჯიბრიდან ის ყმანვილი, რითიც სხვებსაც მისცა მაგალითი ამისა, რომ უპირველესია ურთიერთპატივისცემა. ამ სარდაფში შკრები-ლი ადამიანიების ცხოვრების სტილი, სრული დაპირისპირებაა იმ ძალადობისა და გაუტანლობისა, რაც მათ ზევით ხდება. როცა ელენმა ნახა ალტერნატივა, რომ არის ადამიანი, რომელსაც მატერიალური კეთილდღეობა კი

არა, ადამიანის სულლერი მდგომარეობა აინტერე-  
სებს, გადაწყვიტა ჩვენც დაგვანახოს. „მე ვიცი რა  
მინდა, რას ვეძებ კამერით,  
მე ჩემი არჩეული გმირის  
მხარეზე ვარ.“ „განა შენ  
იღებ კამერით? დამხმარე  
ადამიანების გუნდი ხომ  
გყავს?“ „როგორ არა, მა-  
გრამ ჩემი ჭვრეტის ნაყოფი  
უფრო მომწონს მითუ-  
მეტეს, რომ გადალება  
პროფესიულ დონეზე  
ვისწავლე.“ „ვინ დააფინან-  
სა ეს ფილმი, რომელზეც  
შენ დაუფარავი სიამაყით  
მიამბობ?“ „ისრაელის  
ტელევიზიის მე-8 არხმა და  
რაბინოვიჩის ფონდმა.  
მუსიკა ბატ. იოსებ ბარდან-  
აშვილმა დაწერა, იგი ჩემ-  
თან ერთად იზიარებს სიხა-  
რულს პრიზების  
მიღებისას.“ საგულისხმოა  
ის ფაქტი, რომ ამ ფილმმა  
„ოქროს პალმა“ მოიპოვა,  
რაც თავისთავად მეტყველ  
ღირსებაზე და საერთაშორი-  
ტივალებზე, გერმანიაში, უ-  
და ავსტრიაში იყო წარდგენი-  
პირადად მქონდა ბეჭნიერე-  
„კრივის კლუბი“. რაოდენ  
იყო ჩემთვის, რომ მწვრთვნი-  
კაზე ლაპარაკობს. ერთი ა-  
რაფრიოთ გამორჩეული ა-  
ზნეობრივი თვისებებით  
გერმონი, თავის აღსაზრდელ  
ლახდილ საუბარზეც განახუ-  
ზარდები იმდენად ენდობი  
გულის კუნძულში მოყუჩებუ-  
უმლოსაც ენდობიან. მათ  
ლობელი აღმზრდელი კი  
ლური სითბოთი ცდილობს  
და დაამშვიდოს ისინი. რო-  
მონ გიტარაზე უკრავს, სწი-  
შინ ამ ჰანგებთან აფრე-  
რაელისადა ებრაელების სიყ-  
რითაც ჰატრიოტობასაც უ-  
მოზარდებს. მრავალ ჭ-  
გამოვლილმა, ადამიანის მთ-  
სეულობანი მაინც არ დაკა-  
როგორც მაყურებელი, მივხ-  
ამ როლის შესრულებას მ-  
მიერ, ის სისადავე დააკლ-  
რასაც დოკუმენტური კადრი  
მოგვცემენ. „შენ თუ ითვალ-  
მაყურებლის აზრსა და გემო-  
„რა თქმა უნდა, მაყურებლის  
ლებ ფილმს და მისი აზრ  
ვნელოვანია, მაგრამ იმისათ  
მაყურებელს მოვაწონო,  
პიროვნებას არ დავაზიანებ-  
საც გერმონმა ფილმი ნახა,  
იტყვოდ გამოხატა კმაყი-  
მადლიერი თვალებით და ჩე-  
პირველად მნიშვნელობას  
„ახლა რაზე მუშაობ?“ „მე ა-  
უფლებების დაცვის საზოგა-  
ნევრო ვარ, ეს ჩემი ერთ-ერთ  
სახურიცაა. ამ ორგან-  
ეგიდით დავდივარ ნეგევში.  
უინელი თინერჯერების ცხ-  
ვიღებ, უფრო სწორად, ისის  
იღებენ 5-10 წუთიან ფილ-  
მისი ყოველდღიურობიდან.  
თავს მოვუყრი ყოველივე  
დაინტერესობა ჩემი რთული, მაგრა  
ტერესო მუშაობა. „ბედუინ  
ხომ დიდ შეჭირვებას განიც-  
ვიანთი ყოფის კანონების  
გამო?“ არ ვეშვები მე. „სწო-  
რომაა საინტერესოც და გ-  
რებელიც. ძალიან ჭკვიანი  
ით სავსე და ხალისიანი ახალ-  
ქალები არიან. მათთან საუ-  
გეცვლება აზრი ცხოვრები  
ერთ ასპექტზე და მაინც, მე



დი, რომ ყველას ვერ გავატარებ ერთ  
ბარაში. ისინი მორალურად არ არიან  
მზად ქალაქური ცხოვრებისთვის.  
ყმანვილქალების გარდა, ერთი 110  
წლის ქალიც გავიცანი. მისი ყოველი  
ნაოჭი ასახავს ისტორიასაც და რე-  
ალობასაც. იქიდან დაღლილი  
ვპრუნდები, მაგრამ დიდი პოზიტივი  
მომყვება, რომ დღეს უქმად არ ჩაუვ-  
ლია. „და რითი იწყება მომოდევნო  
დილა?“ „რასაკვირველია ტელე-  
ფონში ინფორმაციისა და შეტყო-  
ბინებების შემოწმებით,“ ელიმება  
ელენს. „რწმენასთან რა დამოკიდებ-  
ულება გაქვს?“ „ძალიან კარგი, არა  
იმიტომ, რომ ჩემმა ძმამ იქშივა დაამ-  
თავრა და მან შთამაგონა.“ „შენს 17  
წლის ვაჟს, დიმიტრის, თუ მიაბა-  
რებდი გერმონ ლუქსებბურგს ალ-  
საზრდელად?“ „დიდი სიამოვნებით,  
მაგრამ მან თავად არ მოინდომა. ხე-  
ლოვნების სკოლაში სწავლობს,  
უკრავს კონტრაბასზე და გამოდის  
კონცერტებზე, უყვარს როგორც  
კლასიკა, ასევე ჯაზი.“ „რამდენად  
ერევი შევილის ცხოვრებაში?“ „ორო,  
სულ ვერევი, ჩენ კარგი მეგობრები  
ვართ.“ „იქნებ დიმასთვის შენი დე-  
დობაც კმარა და მეგობრები ისედაც  
ბევრი ყავს?“ „ჩემი ბუნებიდან გა-  
მომდინარე, ვცდილობ სულ მხედვ-  
ელობის აერეში მყავდეს.“ „თავად  
შენზე თუ აქვთ შენს მშობლებს გავ-  
ლენა?“ „ნარმოიდიგინეთ, დღემდე არ  
შენელებულა.“ „კიდევ ერთი შეკითხ-  
ვა, რა არის ადამიანის დანიშნულე-  
ბა?“ „იყოს გუშინდელზე უკეთესი,“  
მისთვის ჩვეული გულწრფელობით  
მითხრა ელენმა. მაშინ გამახსენდა  
ჩვენი დიდი მოძლვორის, ბრას ლაველი  
რაბი ნახმანის შეგონება: „იყავ  
ყოველდღი ახალი და უკეთესი“.

თავისუფალი, მოაზროვნე, მეოცნებე, მუდმივი ძიებაში მყოფი ელენიანოვსკი შეამჩნევს და ააგებს სიუჟეტს იმაზე, რომ თუ პოპემური ხელოვნების წარმომადგენელი არ არის, გუგრილად ჩაუვლის იმას, რითიც იგი შედევრებს ქმნის. ხაზგასასმელია აგრეთვე, რომ მისთვის მნიშვნელობა არა აქვს ადამიანის სოციალურ წარმომავლობას, მის პოლიტიკურ მრნამსს, რელიგიურ შეხედულებას, ელენი ადამიანებისთვის ეძებს სულის ტკივილის მაღამოს ისე, რომ მათ სულებში ხელებს არ აფათურებს.

— მე მეამაყება, რომ გავიცანი და  
თქვენც გაიცანით თქვენი შვილები  
— თხემით ტერფამდე ხელოვანი  
ელენ იანოვსკი.

## მადლობა ბიუ-იორპილან

**ბატონ ალექსანდრე ელერდაშვილს! —  
მთარგმნელთა კლუბის ხელმძღვანელს!**

მოგესალმებით!

ჩვენმა საერთო მეგობარმა ისაკ კრიხელმა (რომელმაც თქვენზე ბევრი კარგი რამ მიამზო), „ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გაღმიდან“ — ჩემი თბილისიდან თქვენი გულთბილი წარწერით ჩამომიტანა სამახსოვრო ნიბათი — „პოეტური თარგმანის ანთოლოგია“ —

ულრმესი მადლობა ჩინებული კრებულის გამოცემისა და ჩემდამი გამოჩენილი ყურადღებისთვის!

სიამოვნებით გავეცანი წიგნს. დიდი და სასარგებლო შრომა ჩაგიტარებიათ: ორასი მთარგმნელის მიერ ორმოცდათი ენიდნ თარგმნილი სამასი პოეტის ნაწარმოები — შესანიშნავი! ეს წიგნი სისარულით შევმატე ჩემი მოკრძალებული ბიბლიოთეკის ქართულ განყოფილებას. ბევრი მთარგმნელი გამასხვნდა, ზოგს პირადად ვიცწობდი, ვიცწობდ, ბევრიც ვასალი სახეა. მადლობა ლმ-ერთს!

მინდა აღვნიშნო ჩემთვის (და ალბათ, ბევრი სხვისთვისაც!) ერთობ მოულოდნელი რამ: პოპულარული ქართული სიმღერის ტექსტი „ტურფავ, ტურფავ!“ 150 წლის წინას სოსიერი ბაქრაძის მიერ გადმოქართულებული ჰაინრიხ ჰაინს ლექსი ყოფილა!

სამივეს დიდი მადლობა!

კვლავ დიდი სიამოვნება მოგვარა ჯემალ აჯიაშვილის ბრნინვალე თარგმანებმა. მოხარული ვარ, რომ თქვენს კრებულში მკითხველი გაეცნობა ირმანულ წინასარმეტველის 2600 წლის წინათ დაწყორილ „ეხას“ — „იერმას გოდების“ ელეგიებს — თეორ ლექსად შთამბეჭდავად წარმოდგენილი ისაკ კრისტენის მიერ.

რომ თარგმნო, უნდა იცოდო, იცოდე, შეიყვარო და თუ შესძელო, მოთხევჭ მადლობას და ორივე ერის ურთიერთობაში დათესილ მადლს საშვილიშვილოდ მოიმკი. ეს ამოცანა წარმატებით შესარულეთ თქვენ და თქვენმა ნაკრებმა გუნდმა („გუნდი“ ებრაულადაც „გუნდია“ — „რაზმი“, „ესკადრონი“).

მთარგმნელთა დიდი დამსახურებას, რომ ქართულენოვანი მკითხველი ეცნობა მსოფლიო პოეზიის მარგალიტებს, ან პირიქით. ეს ხალხებს შორის მეგობრობის ხიდს სდებს და ალამაზებს.

გახსოვს, როგორი რეზონანსი ჰქონდა ისრაელში ებრაულ ენაზე შესანიშნავად თარგმნილი შორის რუსაველი გენიალური „ვეფხისტეაოსნის“ ბორის გაპონოვასეული თარგმანის გამოცემას. მორის გაპონოვას მიერ ამ პოემის თარგმანებისას გამოვლენილი ტალანტი საყვარელთაოდ აღიარებული ჩერნიახოვსკის სახელობის პრემიონიშნა.

სამი ათასი წლის წინათ სოლომონ ბრძენის მიერ შექმნილი უკვდავი პოემა „გალობათა გალობა“ საუცხოოდა გამოყენებული „ეთერიანში“ ანუ „ბესალომ და ეთერში“. XVIII საუკუნის დიდი მგოსანი-ლირიკოსი ბესიკი „რძალდედამთილიანში“ იყენებს ფრაზებს ამ პოემიდან.

„გალობათა გალობა“ ბევრი შემოქმედის ყურადღება მიიპყრო: ტექსტის თარგმანი 1886 წ. ალ. ცაგარელმა გამოსცა, შემდევ — პეტრე მირიანაშვილმა, მოგვანებით კა სერგო გრავაძემ.

დიდმა ქართველმა ებრაულმა მწერალმა გერცელ ბააზოვმა „გალობათა გალობის“ ორიგინალიდან — ებრაული ბირველად შესრულებული ქართული თარგმანი 1923 წელს გამარტევნა გაზრდა „ტრიბუნამი“ (504). ოდას მოგვიანებით შესრულდა პოემს კიდევ ერთი თარგმნი დედნიდან — ცნობილმა საზოგადო მოლებელმა და მწერალმა ნათან ელიაშვილმა ეს ნაწარმოები ებრაულიდან თარგმნა, ლექსის ფორმაში ჩამოაყალიბდა და 1925 წელს (ალექს წიგნად გამოსცა).

მთარგმნელებზე (კერძოდ ებრაულიდან ქართულზე) საუბრისას ლრმა პატივისცემით მინდა გავისენო დიდებული ოჯახის შთამომავალი ნისან ბაბალიკშვილი (ჩვენ ბავშვობიდან ვმებობიდებით); ის იყო უალრესად უბრალო, ცოდნით მიდიდა, ძვირფასი პირვენება. ნისანს თარგმნილი და გამოქვეყნებული აქეს ძევლებრაული კულტურის სწორუპოვარი წიმუშები: „კოჟელეთი“ („ეკლესიასტეტი“), „ირმიაჲუს გოდეა“, „იონას წიგნი“. მუშაობდა თანამედროვეობის უდიდესი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის — მშეულ აგნონის თხულებათა თარგმანზე. თბილისში, მის საფლავზე, ორი ერის მეგობრობის სიმბოლოდ აღმართულია თვალსაჩინო ძევლი-მემორიალი „სიცოცხლე გრძელდება ქაში“ — ავტორია ქართველი ებრაელი არქიტექტორი შეითა ბოსტანაშვილი; სწორედ ამ ქაში ქართველმა ხელივანმა ჯონი გოგბერშვილმა სიყვარულით ამოკვეთა ნისანის პირტრეტი ქვაში ამოტვირულია შუა საუკუნების ებრაული პოეტის შეულ პანაგიდის ლექსის ფრაგმენტი ნისანისეული ქართული თარგმანიდან:

„მთვარეს უძმოს და უამხანაგოს,  
მთვარეს ფარვიდეს ძალი მფარველი!  
ცამან შობა და ცამან განაგოს,  
ცამ განუქარვოს განსაქარველი.“

ებრაულიდან ქართულად მთარგმნელი ბირველი მამისთვალოვანი შეიტანება: რაბი იცხაკ მამისთვალოვანი ბირველი და თამარ კეზერაშვილმა, გერშონ ბენიამინმა (ნინუაშვილმა), იცხაკ დავითმა დავითმა დავითმა დავითმა და მრავალი სხვამ (ვინც ვერ გავიხსენე, მომიტევოს).

მართალია, პოეზიის ჩარჩოებს სცდება, მაგრამ მაინც ალსანიშვანია, რომ ქართველ ებრაულება უხსოვარი და აბრამ მართველი მართველი და არამეულზე — იყო პერიოდი უზადა შესასრულობის თავისი ძირძელი, უბერებელი ებრაული ტრადიციების, ეთნიკური კულტურის შესანიშნავი წიმანსვეტები: ლმერთისადმი ლოცვა-ვედრება, ნეფელედოფლის კურთხევა, საქორნინო ხელშეკრულება (2000 წლის წინათ შედგენილი), ფესანის (3300 წლის წინათ ეგვიპტიდან ებრაული გამოსვლის დაესახანაული) „აგადა“ და მრავალი სხვა.

ჩვენი რაბინები ყოველთვის ცდილობდნენ მსმენელთათვის ქართულად ახესნათ, განემარტათ ებრაული კაზულსატყვაობის წაითხული ნიმუშთა შინაარსი. ამგვარად ჩამოყალიბდა თარგმანის (ებრაულად — „თირგუმის“) წაირსახეობა „თავსილი“ („თავსილი“) თარგმანი განმარტებითურთ. „თავსილი“ თაობიდან თაობას ზეპირად გადმოეცემოდა; ენა — არქაული, ძველი ქართული იყო, რაც მაჩვენებელია, რომ ის შეიმნა აღრეულ ცერიოდში.

აქ, აღსანიშნავია და მისასალმებელია ჩვენი თანამემამულის პროფ. რეუბენ ენობის (ენუქაშვილის) სამოწყალური დიდებული ღონისძიება — „თავსილი“ დაფიქსირება, მეცნიერული კვლევა; გამოაქვეყნა ორი უალრესად მნიშვნელოვნი წიგნი. ბოლო პერიოდში, ისრაელელმა მწერალმა (ისრაელის მწერალთა კავშირის ყოფილმა თავმჯდომარევე) პროფ. ორციონ ბართაბამ და პროფ. რეუბენ ენობმა ქართულიდან ებრაულად თარგმნეს და გამოაქვეყნეს გალაკტიონ ტაბიდის 30 ლექსი. ამ თარგმნისთვის პროფ. ორციონ ბართანას და პროფ. რეუბენ ენობს ივანე მაჩბელის სახელობის პრემია მიენიჭა.

2011 წელს, ცნობილი მწერლის და საზოგადო მოღვაწელის გურამ ბათიაშვილის ინიციატივით, იერუბალამიში, ჯვრის მონასტერში, შოთა რუსთაველის ლეგენდარულ საგანიშვაროა შედგა დოკუმენტური ფორმაში კვლევა; გამოაქვეყნა ორი უალრესად მნიშვნელოვნი წიგნი. ბოლო პერიოდში, ისრაელელმა მწერალმა (ისრაელის მწერალთა კავშირის ყოფილმა თავმჯდომარევე) პროფ. ორციონ ბართაბამ და პროფ. რეუბენ ენობმა ქართულიდან ებრაულიდან ქართულად მაყვალა გონაშვილის, ორციონ ბართანას, გურამ ბათიაშვილის და რეუბენ ენობის რედაქტორობით გამოიცა თერენოვანი (ებრაული და ქართული) კრებული. მასში შეტანილია ცნობილი ისრაელელი პოეტების — ითამარ იუზ კესტის, ხენ კლაინმანის, იონადავ კავლუნის, იოავ ხაიკის, ორციონ ბართანას, ამირ ორის, ნირის ს. იზაქსონის, იოსებ იზაქსონის, და კერძების თავმჯდომარევე კაბიდის (5 ახალი), ლია სტურუას (3), მუხრან მაზავარიანის, ჯან ჯარვიანის, ბესიკ ხარანაულის და რეუბენ ენობის მიერ. ასევე, ქართულიდან ებრაულად და თარგმნის გალაკტიონ ტაბიდის (5 ახალი), ლია სტურუას (3), მუხრან მაზავარიანის, ჯან ჯარვიანის, მავალა გონაშვილის, ფრიდონ ხალვაშის, თამაზ ჭილაძის, რეზო ამაშუკელის, ბესიკ ხარანაულის, ტარიელ ჭანტურიას ლექსები და ბიოგრაფიები.

ეს ხომ — დიდებულია!

მაპატიეთ! — წერილი გამიგრძელდა, თუმცა, სათქმელი ბევრია...

ბატონობ ალექსანდრე, ხედვთ, რამდენი რამ გაგვახსენა თქვენი წამოწყების ნაყოფმა?! გულწრფელი მადლობა!

მომავალ წარმატებებს გისურვება!

ლრმა პატივისცემით

**ნოდარ ფალაგი (პარლაგაშვილი)**  
ნიუ-იორკი  
აგვისტო, 2017 წ.

**НЕОТТОРЖИМЫЕ  
ОТ СИОНА**  
(О СЕМЬЕ БАБАЛИКАШВИЛИ)



სიონისაგან განუყ